

დამტკიცებულია,

შპს სკოლა-გიმნაზია პირველის

დირექტორი მიერ

ბრ.2-72 08.09.2020



ხარისხის მართვის სამსახურის დებულება

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება ვრცელდება შპს სკოლს-გიმნაზია პირველის ხარისხის მართვის სამსახურის წევრებზე და აწესრიგებს აღნიშნული სამსახურის საქმიანობას.

ხარისხის მართვის სამსახურის შემადგენლობა:

1. სკოლი აკადემიური(აღმასრულებელი) დირექტორი
2. დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში
3. სკოლის კოორდინატორი

თითოეული მათგანის ფუნქცია განერილია სკოლის დებულებაში.

მუხლი 2. დებულების მიზანი

სკოლის მისიის და დასახული მიზნების რეალიზაციის, ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლის საქმიანობის სისტემატურ შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრა.

მუხლი 3. შეფასების საგანი

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
2. მატერიალური რესურსების საკმარისობა და განვითარება
3. ადამიანური რესურსები.

ამ მიზნით სკოლაში დაგეგმილია:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგის ანალიზი და შედეგების განხილვა.
- მოსწავლეთა შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციების განხილვა. პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება.

- სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებების განხილვა, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისა და საათობრივი დატვირთვის ეფექტიანობის განსაზღვრა;
- კლასის დამრიგებლებთან კლასების მდგომარეობის შეფასება, როგორც აღმზრდელობით ასევე საგანმანათლებლო კუთხით, რითაც განისაზღვრება საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეფექტიანობა;
- მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების პერიოდული გამოკითხვები შემუშავებული კითხვარების მიხედვით;
- სსსმ მოსწავლეების სწავლის შედეგების განხილვა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.
- სკოლაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა და სრულყოფა
- მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. პერსონალის პირადი საქმეების მონიტორინგი.

სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლა ამტკიცებს შეფასების ფორმებს, კერძოდ:

- კითხვარი მშობლებისთვის
- კითხვარი მოსწავლეებისთვის
- კითხვარი მასწავლებლებს
- კმაყოფილების კვლევის კითხვარები, მოსწავლეები, მშობლები
- გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი(დამრიგებელი)
- დამრიგებლის თვითშეფასების სქემა
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ფორმა

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფა სკოლაში

1. სასწავლო სასკოლო გეგმის შემუშავებაში აქტიური ჩართულობა.

ამ მიზნით, ხარისხის სამსახური:

- მკათიოდ განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფს;
- მომხმარებელთა აზრის კვლევა/ ანკეტირება და შედეგების ანალიზი;

2. მშობლებისა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა;

- სკოლაში არსებობს კომუნიკაციის გამართული სისტემა, რათა მშობელი

- შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

3. უსათრთხო და მონესრიგებული გარემოს ხელშეწყობა;

- სკოლის ფიზიკური გარემო და შინაგანანესი გამორიცხავს უნესრიგობას და ხელს უწყობს დადებით ქცევას;
- ქცევის ნორმები და პროცედურები განსაზღვრულია შინაგანანესით.
- შემუშავებულია სკოლის უსათრთხოების და წესრიგის დაცვის წესი

4. მომხმარებლის აზრის კვლევა

- სასწავლო წლის ბოლოს, ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს მომხმარებლის აზრის კვლევას და შედეგებს აცნობს სასკოლო საზოგადოებას.
- მეორე სემესტრში ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს მასწავლებელთა აზრის კვლევას და შედეგებს აცნობს სკოლის ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოებას.

5. შედეგების სვოტ ანალიზი

კითხვარების ანალიზის და შეფასების საფუძველზე განისაზღვრება სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების დონე და დაისახება ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობი მექანიზმები შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებით.

მუხლი 5.მასწავლებლის შეფასება

1. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის სამსახური:
 - ა) ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის პროფესიული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
 - ბ) ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;
 - გ) მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ

- დ) საჭიროების შემთხვევაში, აღგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს;
- ე) მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს;
- ვ) პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასება

1. მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკების მიხედვით;
2. გაკვეთილის შეფასების მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის წევრები, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელთან ერთად, მასწავლებლებს ესწრება შემდეგი ინტენსივობით: უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 3 და მეტ გაკვეთილზე (საჭიროებიდან გამომდინარე), ნამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში – არანაკლებ 2 გაკვეთილზე, მენტორი მასწავლებლის შემთხვევაში კი – არანაკლებ 1 გაკვეთილზე.
3. ხარისხის სამსახური მასწავლებელს აკვირდება მის მიერ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. გაკვეთილზე დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირი ფორმით - დასწრებით ან დისტანციურად.
4. ხარისხის სამსახური მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევს მას განმავითარებელ შეფასებას.
5. გაკვეთილზე დაკვირვებასთან და განმავითარებელი შეფასების მიცემასთან დაკავშირებით ხარისხი სამსახური შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე ინახავს დოკუმენტაციას (შეფასების რუბრიკებს).

მასწავლებლის საქმიანობის შეფასება

ხარისხის სამსახური გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს:

- ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას;
- ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას;
- გ) მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს;
- დ) შრომითი ხელშეკრულებით, და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული განვითარების აქტივობების შეფასებას.

მუხლი 6. მასწავლებლის პროფესიული განვითარება

პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვა

1. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის სამსახურის მიერ განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.
2. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:
 - 2.1. თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
 - 2.2. სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
 - 2.3. მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.

მუხლი 7. დებულების დამტკიცება, ცვლილებების შეტანა

1. ხარისხის მართვის სამსახურის დებულებას ამტკიცებს დირექტორი.
2. ხარისხის მართვის სამსახური დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ.

